



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 194/ს
02/05/2023

194-21-4-202305021438



სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2009 წლის 25 თებერვალს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაზე გაცემულია №20 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №00190. აღნიშნულის საფუძველზე, 2020 წლის 13 ნოემბერს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1039). 2021 წლის 21 ოქტომბერს მცხეთის მუნიციპალიტეტში სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1491), რომლის საფუძველზეც ძალადაკარგულად გამოცხადდა 2020 წლის 13 ნოემბრის №2-1039 ბრძანება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ქსელში მიწოდება ხდება ჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 110 კვ ძაბვის ქვესადგურის საშუალებით. აღნიშნულ ქვესადგურზე 2022 წლის მაისში მომხდარი ხანძრის შემდგომ, საჭირო გახდა გარკვეული მოწყობილობების ჩანაცვლება და დაზიანებული ტერიტორიის რეაბილიტაცია. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი ქვესადგურის ტერიტორიიდან დაშორებულია 130 მეტრით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში განხორციელდება: ხანძრისგან დაზიანებული მოწყობილობების დემონტაჟი; გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული, არსებული 6 ცალი ცალფაზიანი ტრანსფორმატორის ნაცვლად, 2 ცალი ტრანსფორმატორის მონტაჟი; ახალი საყრდენ-სამომრავებელი რელსების (ძალოვანი ტრანსფორმატორების გასაგორებელი „სალიანდაგო გზა“) მოწყობა; ტრანსფორმატორების ტერიტორიასთან არსებული გამყოფი ღარის ამოვსება და მისი გასწორება 110 კვ ღია გამანაწილებელი მოწყობილობის ტერიტორიის ნიშნულთან, რაც გაამარტივებს ოპერირებასა და გაზრდის

უსაფრთხოების ხარისხს; ტრანსფორმატორებს შორის რკინაბეტონის ხანძარსაწინააღმდეგო კედლის განთავსება, რომელიც ავარიის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ერთი ტრანსფორმატორის ლოკალიზებას მეორე ტრანსფორმატორისაგან; ქვესადგურის ტერიტორიაზე არსებული ატმოსფერული წყლების შემკრები სისტემის აღდგენა.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ქვესადგურის ტერიტორიაზე, ნახევრად დახურულ შენობაში არსებული 6 ცალი ტრანსფორმატორის ნაცვლად განთავსდება 2 ცალი, თანამედროვე, სამგრანგნო ტრანსფორმატორი, რომელიც აღჭურვილი იქნება ზეთდამჭერი სისტემით. აღნიშნული სისტემის შემადგენლობაში შევა ზეთმიმღები ორმოები, რომლებიც ზეთგამტარი მილის საშუალებით, დაუკავშირდება მიწისქვეშა ზეთშემკრებ რეზერვუარს (მოცულობა - 73.9 მ³). ზეთგამტარი მილის დახრილობა შეადგენს 2%-ს. ზეთგამტარი ორმოები და ზეთშემკრები რეზერვუარი იქნება მონოლითური რკინაბეტონის, რომელშიც ჩამონტაჟდება ლითონის ტექნოლოგიური ელემენტები. ზეთშემკრები რეზერვუარის მოწყობისას, მდგრადობის გაზრდის მიზნით, ბეტონში დანამატის სახით გამოყენებული იქნება „კალმატრონი-D“. ზეთგამტარი მილის ზეთმიმღებ ორმოებთან და ზეთშემკრებ რეზერვუართან მიერთების ადგილებზე ჰერმეტიზაციისთვის გათვალისწინებული იქნება ბიტუმის ჰერმეტიკა. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ტრანსფორმატორები (2 ერთეული) შეიცავს ჯამში 42400 კგ ზეთს (დაახლოებით 42 მ³). ზეთდამჭერი სისტემა, ავარიის შემთხვევაში, უზრუნველყოფს დაღვრილი ზეთის სრული მოცულობის და ხანძრის ქრობისას გამოყენებული წყლის რაოდენობის დროულად და უდანაკარგოდ მოხვედრას ზეთშემკრებ რეზერვუარში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ქვესადგურის ტერიტორიაზე განახლდება ბეტონის საფარველი და აღდგება არსებული ატმოსფერული ნალექების შემკრები სისტემა (მიწისქვეშა ჭები და კოლექტორი), რომელიც მოწყობილია ტრანსფორმატორებსა და ღია გამანაწილებელ მოწყობილობას შორის. დოკუმენტის თანახმად, ატმოსფერული ნალექების სისტემის აღდგენა გულისხმობს არსებული მიწისქვეშა წყალგამტარი ჭების კედლების ბეტონის საფარის განახლებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოები არ იქნება მასშტაბური ხასიათის. სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო მასალა მზა სახით იქნება შეტანილი ქვესადგურის ტერიტორიაზე. მიწისქვეშა ზეთშემკრები რეზერვუარი განთავსდება სადემონტაჟო ტრანსფორმატორებისათვის განკუთვნილი, სადემონტაჟო ზეთდამჭერის ადგილას. ვინაიდან, ქვესადგურის ტერიტორია შემოფარგლულია რკინის ღობით, ხოლო უკანა მხარეს ესაზღვრება კედელი, დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება ე.წ. ამწე კალათის მეშვეობით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების ძირითადი რისკი უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ვინაიდან ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია მხოლოდ არსებული ქვესადგურის რეაბილიტაცია,

რაც არ საჭიროებს მასშტაბურ სამუშაოებს, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისას არ იგეგმება ხმაურის გავრცელების სტაციონარული წყაროების გამოყენება. ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების უმნიშვნელო წყაროდ შესაძლებელია ჩაითვალოს სადემონტაჟო/სამონტაჟო და ქვესადგურის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. ხმაურისა და ვიბრაციის უმნიშვნელო გავრცელება მოსალოდნელია მხოლოდ სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების და სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში. თუმცა, აღნიშნული ზემოქმედება იქნება დროებითი ხასიათის და ტექნიკა იმუშავებს მხოლოდ დღის საათებში. შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისას ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის სარეკონსტრუქციო მოედანზე დაიდგება სათანადო მარკირების მქონე დახურული კონტეინერები. წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა ნებართვის მქონე კომპანიას, ხოლო არასახიფათო ნარჩენების გატანა მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, კომპანია წარმოქმნილი ნარჩენების მართვას განხორციელებს ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ჰიდროელექტროსადგურის სიახლოვეს არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გავრცელებულია „წითელი ნუსხის“ სახეობები. ქვესადგურის ტერიტორია მოხრეშილი და მობეტონებულია. იგი შემოსაზღვრულია რკინის ღობით, რაც გამორიცხავს ფაუნის წარმომადგენლების ტერიტორიაზე მოხვედრას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსდა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 21 ოქტომბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1491) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო